სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ცალკე ნომერი 3 კაპეკი

ფასი განცხადებისა „ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 6 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.

Телефонъ № 363.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ

**ჩვეულებრივი კრება დრ. საზოგადოებისა**

დანიშნულია 10 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში

საგნები კრებისა:

1) ახალი წევრების მიღება.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
3) მოხსენება თეატრის საქმეთა წარმოებაზე დამდეგ სეზონში.

(3—2)

ქალ-ვაჟთა სკოლა

**ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა**

**დ. ხონში**

პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან

**საქალებო პროგიმნაზიად**

მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე:

სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—15)



**მაქსის ცირკი**

მიხეილის ქუჩაზე, მადერის მამული

კვირას, 6 სექტემბერს

მეცხრე სადღესასწაულო წარმოდგენა სამს განყოფილებაში.

მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი გიმნასტი **ლვოვი** და მოჯირითე **პიერი**.

გაწვრთნილ ცხენებს გამოიყვანს ცირკის დირექტორის ცოლი მაქსისა

კომიკური და სამასხარო გამოსვლა გამოჩენილის კლოუნის **მაქსისა**.

**დასასრულ გაიმართება ბალეტი**

დასაწყისი 8 საათზე

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა

ფასები **30** კაპ. მოყოლებული **4** მანათამდე.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხ. გამავ. საზ. წიგნის მაღაზიაში

**ქართული საერო დ სასულიერო კილოები**

**შედარების ნიმუშებით**

მღვდ. ზ. კარბელაშვილისა

ფასი **20** კაპ. (10—5)

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины

ახლად გამართული რესტორანი

**„იუჟნი ნომერა"**

ტფილისი, ბარონის ქუჩაზე

ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული

სადილ-ვახშამი და საუზმე

ხორაგი უოველთვის ახალი და სუფთაა

რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები

იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით

**ფასი ყველაფრისა იაფია**

(30—22) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

**ვექილი**

**ი. ი. ზურაბოვი**

გადავიდა სუდებნი ქუჩაზე, სახ. № 15. (10—2)

**კბილის ექიმი**

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—10)

დოქტორი მედიცინისა დ ქირურგი

**ბენკლევსკი**

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

**Докторъ медицины и хирургъ**

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

**ტფილისის მეშჩანთა გამგეობა**

ამით აცხადებს ტფილისის მოხარკე მოქალაქეთა და მკვიდრთა საყურადღებოდ, რომ ამა სექტემბრის 6-ს მის მიერ დანიშნულია არჩევნები ტფილისის მეშჩანთა მამასახლისის—წარმომადგენლისა დ ერთი მისი კანდიდატისა, ხარკის ამკრების მამასახლისისა და ერთი მისი კანდიდატისა, ასი მეშჩანთა დეპუტატისა, (უკანასკნელი იმ საქმეთა გადასაწყვეტად, რომელნიც ექვემდებარებიან მთელი საზოგადოების გადაწყვეტილებას) და საობლო სასამართლოს ორი წევრისა და ორი მათი კანდიდატისა. არჩევნები მოხდება ქალაქის სახლში—საბჭოს სხდომების დარბაზში შუადღის 12 საათზე, ტფილისის გუბერნატორის საგანგებო მინდობილებათა უფროსი მოხელის თავადის ა. ა. ბებუთოვის თანადასწრებით, ტფილისის მეშჩანთა მამასახლისის თან. აღმასრულებლის ე. ვ. ედიგაროვის თავმჯდომარებით; ამასთან თუ დანიშნულ დღეს 6 სექტემბერს რაიმე მიზეზის გამო ვერ გათავდა ყველა ზემო ნაჩვენებ მოსამსახურე პირთა არჩევანები, იმ შემთხვევაში ეს არჩევანები გაგრძელდება შემდეგს დღეებშიაც. ამის გამო ამომრჩევლები, რომელთაც, კანონის ძალით, ხმის უფლება აქვთ კრებაზე, უნდა გამოცხადდნენ ზემო აღნიშნულ სახლში 6 სექტემბერს დილის 9 საათზე, როდესაც დაიწყება საარჩევანო სამზადისი.

მეშჩანთა მამასახლისის თანამდ. აღმასრულებელი ე. ედიგაროვი.

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ზ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერატი**. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი**.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ჶ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лъчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, საქართველოს ექსარხოსი, გუშინ, 5 სექტემბერს, დილის მატარებლით გაემგზავრა ტფილისიდან ყარაიაზში და დავით გარეჯელის მონასტერში, საიდანაც დაიწყებს საქართველოს საექსარხოსოს ჩამოვლას.

*** მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე გუშინ კავკავიდან ტფილისში ჩამოვიდა.

*** საერო დარაჯობის საქმე. როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით აუწყებენ, შინაგან საქმეთა სამინისტროში საერო დარაჯობის შესაცვლელად დაარსებულ კომისიას საჭიროდ დაუნახავს $2^1/_2$ მილიონ მანეთის კრედიტის გადადება საერო დარაჯთა შესანახად. ასეთი დიდი ფულის გადადება იმას მოწმობს, რომ საერო დარაჯობის საქმეში თვალ-საჩინო ცვლილებები ჰსურთ შეიტანონ.

*** ჭაობების დაშრობა ბათომას გარშემო. სამხედრო სამინისტროს ხელ-მეორედ აღუძრავს კითხვა ბათომის გარშემო ჭაობების დაშრობის შესახებ.

*** პატარა სადგურის ქვალონის აშენება. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფოთის განყოფილების მე-27 ვერსზე განზრახული აქვთ მომავალ 1899 წელს. ამ სადგურის აშენება შეტანილი იყო მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, მაგრამ ფული არ იყო გადადებული.

*** მოსავალი სოფ. ტყვიავში (გორის მაზრა), როგორც გვატყობინებენ, ძალიან ნაკლებია. პური უამინდობამ წაახდინა; მთელი სოფლის ვენახებში არ მოიკრიბება ერთი კალათი ყურძენი, ისეა ვაზი გამხმარი შარშანდელი სეტყვით და ზამთრის ყინვებით. სიმინდიც ვერ არის რიგიანი.

*** ბალახების საწყობი. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტს ბ. ტიმოფეევს; ქუთაისის გუბერნიაში ბალახის თესვის გასავრცელებლად, შუამდგომლობა აღუძლრავს იმის შესახებ, რომ ქუთაისის საცდელ მინდორზე დაარსებულ იქმნეს საწყობი სხვა-და-სხვა სასარგებლო ბალახის გასასყიდად. ამასთან ბ-ნი ტიმოფეევი თხოულობს, გამომიგზავნეთ ცოტაოდენი ბალახეულობის თესლი ქუთაისის საცდელ მინდორზე დასათესადაო.

*** მისაღები ეგზამენები ტფილისის რკინის გზას სატეხნიკო სასწავლებელში უკვე დასრულდა. წელს ჩვეულებრივზე მეტი მიიღეს, სახელდობრ 38 კაცი, რომელთა შორის 22 რუსია, 7 სომეხი, 3 სხვა-და-სხვა ეროვნებისა და 5 ქართველი: ვარაზაშვილი, დარჩიაშვილი, ნასიძე, ციკლაური და ჩილინგირი.

*** აღლუმი ვერაზე. ვერის მინდორზე საერთო ჯარის დაბანაკება გახლავთ ახლა. აქ სამ სექტემბერს, საღამოს 5 საათზე და 15 წუთზე მობრძანდა ჯარის დასათვალიერებლად მათი ბრწყინვალება კავკასიის მთავარ მართებელი თ. გოლიცინი, რომელსაც ახლდა: თთხი გენერალი, ოცდა ხუთამდე აფიცრები და ორმოცი ყაზახები, როცა ვერის მინდორზე შემობრძანდნენ, საბანაკოზე ჯარის კაცები იყვნენ დამწკრივებულნი თავ-თავიანთ რიგზე და ჯარი მიეგება მუსიკის კვრით და სხვა და სხვა რუსულ სიმღერებით. აქ ჩამობრძანდა ცხენიდან და დარჩა 6 საათამდე და შემდეგ წაბრძანდა.

*** მეწვრიმალეს თავ-გასულობა. ვერის მინდორზე, სადაც ჯარია დაბანაკებული, დროებით მოსულა ერთი ვიღაც მეწვრილმანე, რომელიც ტყავს აძრობს საწყალ ჯარის კაცებს. წარმოიდგინეთ, რომ ყველი, რომელიც ბაზარში თოთ შაური ღირს, იგი 30 კაპეიკად ჰყიდის გირვანქას, პურს მესამე ხარისხისას 4 კაპეიკად, მეორე ხარისხ. 5 კაპ., საზამთროს, რომელიც ბაზარში 5 კაპ. არის, იმისთანას მეწვრილმანე ყიდის 15—20 კაპეიკად. ამის მეტი დუქანი ახლოს არ არის, ჯარის კაცი შორს წასასვლელად როცა მოინდომებს ვერ მოიცლის, უნდა იქ მივიდეს მეწვრილმანესთან და იყიდოს, რაც უნდა მოსთხოვონ, მეტი გზა არ არის.

დიდად სასურველია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, რომ მით ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ასეთი თავ-გასულობა.

ალექსანდრე

*** ტირძნისის ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ განცხადებას. გორის მაზრის ტირძნისის ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის პირველ კლასში მისაღები გამოცდა დაიწყება 13 ენკენისთვიდან, ამისთვის მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თხოვნით ხსენებული სკოლის მზრუნველს სტ. სოვეტნიკს ივანე დავითის ძე სულხანიშვილს. სკოლასთან არის დაარსებული მოსწავლეთათვის საერთო ბინა საცხოვრებლად.

ტირძნისის ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის ხელ-მძღვანელი მღვდელი სპირიდონ კასრაძე

*** ახალი წიგნი. ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა“. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, შეიცავს 96 გვერ. და ღირს 25 კაპ.

წიგნში მოთავსებულია ბევრი საყურადღებო ისტორიული ცნობა, რომელნიც ზოგი ვატიკანის წიგნთ-საცავიდან არის გადმოწერილი და ზოგიც სხვა-და-სხვა ევროპიელ მოგზაურთა ნაწერებიდან. ეს ცნობები ამტკიცებენ, რომ რომის ყურადღება საქართველოსადმი ქრისტიანობის სიბრალულით იქმნა მოპყრობილი და არა ქართველთა გაფრანგების სურვილით.

წიგნში მოყვანილია აგრეთვე ცნობები, თუ ევროპაში როდის დაარსდა ქართული სტამბა, ან საქართველოს რუქები როდის გამოიცა და წერილები ზოგიერთ ჩვენის მეფეებისა, რომელთაც რომის პაპებთან მიწერ-მოწერა ჰქონიათ.

პატრის დავითის მოღვაწეობის აღწერაში განმარტებულია ისტორია იმ უნებლიეს შეცდომებისა, თუ რა მანქანებით წავიდა ქართველ გვარის კათოლიკეთა წინაშე უცხო გვარის ტრფიალება, უცხოობა და სხვანი.

*** სოხუმი. ქართულ წირვალოცვის შესახებ. პასუხად გენერ.-ლეიტენანტის ქვრივის, კნეინა ალათი შერვაშიძის თხოვნისა სოხუმის საკრებულო ტაძარში ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის შესრულების შესახებ, როგორც „ახ. მიმ.“-ს სწერენ, მისს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს წინადადება მიუცია სოხუმის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო არსენისათვის, რამდენად-კი შესაძლებლად დაინახოთ, შეიწყნარეთ კნეინა შერვაშიძის თხოვნაო. სოხუმელები დიდათ მოხარულნი არიან მისის მეუფების მწყემს-მთავრულის განკარგულებისა და მოუთმენლად მოელიან გასაგებ ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენას.

*** დრანდა (აფხასეთი). კეთილი ქმნა. ორ თვეზე მეტი არის, რაც დრანდის თავ-შესაფარის მკურნალის მოვალეობას დროებით ასრულებს ლეჩხუმის მაზრის მკურნალი ბ-ნი ტერ-ტეროვი. ბ. ტერტეროვის დანიშვნამდე მკურნალის ნახვა თავ-შესაფარში თითქმის შეუძლებელი იყო ხალხისათვის, რადგან თვეში ერთხელ ამობრძანდებოდა მკურნალი და ისიც უდროვო დროს. ასე რომ სოფლელი ავადმყოფის ბედ-იღბალი, რაც უნდა სენით ყოფილიყო იგი შეპყრობილი, მხოლოდ ფერშალზე იყო დამყარებული და ისიც იმისთანა ფერშალზე, რომელსაც საფერშლო სასწავლებელში როდი მიუღია სწავლა, არამედ მხოლოდ სამხედრო სამსახურის დროს ლაზარეთში ცოტაოდენი რამ შეუსწავლია და როტის ფერშლის წოდება მიუღია. ხოლო რაკი ტერტეროვი დაინიშნა, ის მას შემდეგ კვირაში ერთს დანიშნულს დროს ღებულობს ავადმყოფ სოფლელებს განურჩევლად ეროვნებისა, აუჩქარებლად და გულ დასმით სინჯავს მათ და ხშირად ნაშუადღევის ოთხ საათამდინაც მუშაობს თავ-შესაფარში, მაშინ, როდესაც წინანდელი მკურნალი მხოლოდ ენაზე დახედვით სინჯავდა ავადმყოფს და ისიც მხოლოდ 11 საათიდან 12 სათამდე, თორემ შემდეგ, რაც უნდა გაჭირვებული მძიმე ავათმყოფი მისულიყო შემწეობისათვის, მისთვის თავშესაფარის კარები დახშული იყო და „Пріемъ Конченъ“-ო მიიღებოდა პასუხად. გარდა ამისა ბ-ნმა ტერტუროვმა კარგათ იცის ქართული ენა და წერა-კითხვა, ასე რომ ახლა აქაური მკვიდრთ აშორებული აქვთ ის უსიამოვნება, რომელიც აქ წინათ ენის უცოდინრობას მოელოდა.

დასასრულ არ შეგვიძლია ხალხის სურვილთან ერთად ჩვენც არ ვისურვოთ, რომ აქ შემდეგისათვისაც მკურნალად დარჩებოდეს ბ-ნი ტერტუროვი, როგორც სასარგებლო და მკვიდრთათვის გასაგებ ენის მცოდნე კაცი.

Humanus

*** ს. ძლევი-ჯვარი (ქართლი). ხალხი უწყლოდ იხრჩობა. ყოველივე უბედურება შეუძლიან კაცს აიტანოს, მაგრამ უწყლობას კი ვერ აიტანს; ძლევი-ჯვრელებს კი უწყლობის ატანა შეხვდათ წილად. ეს სოფელი მოშორებულია დიდ-ლიახვზედ, საიდანაც რუ გაჰყავთ ამ სოფელში. ეს რუ ისე პატარა წყალს აძლევს აქაურს მინდვრებსა და მეზობელ სოფლელებს, რომ ძლევი-ჯვარში, როდესაც ხნულების რწყვას დაიწყებენ რუს სათავეში მდებარე სოფლები.

ცვარი წყალი აღარ ჩასდით, თუმცა-ღა მეტი შრომა წყლის გამოყვანისათვის ძლევი-ჯვრელებსა ხვდებათ. სწორედ ცოდვის დღე სდგას მკათათვის ბოლო კვირიდან, ვიდრე ენკენისთვის ნახევრობამდინ. რუები სულ მთლად ამოშრალია, საქონელი დაფხოტიალობს აქა-იქ და წყალს ეძებს. თან სველ მიწას ლოკვენ რუში. საცოდავი ბატები და იხვები აჰყვებიან და ჩაჰყვებიან რუს, იქნებ გუბე იყვეს სადმეო; მაგრამ, რაკი წყლის შვილები არიან, ღმერთი არ ულევთ მათ ზრუნვასა და წისქვილ ქვეშ მიუცია მათთვის გუბე და იმაში ჰყუმპალაობენ. საქონელი იქ ვერ დალევს წყალს, რადგან სისხამენ და ბუმბულით ავსებენ იქაურობას. გლეხები იძულებულნი არიან, ვერსტ და მეტ სიშორეზე ატარონ მწყურვალი საქონელი და გუბეები ეძებონ: საწყალი მერუები, ბარებით ხელში, გასწევენ რუ-რუ და სადაც დაგუბებულს წყალს ნახვენ, გაუხსნიან გზასა და უმარჯვებენ სოფლისკენ. გათენებამდის ასე ეწვალებიან და როგორც იქნება გაავსებენ სოფლის პირში ერთ ორმოს; სისხამ დილით იქაური ქალი და რძალი, კოკებით ხელში, მიესწრაფება „დილის წყლის“ ასამსებათ, როგორც იქმნება ამოხაპვენ გუბეს, გაამსებენ ლაფით კოკებს, რომლებშიაც შუადღემდის ძლივს დაწკნდება წყალი და ივარგებს ხალხის დასალევად. ამ უხეირო წყლის სმისგან ავადმყოფობა ვრცელდება. თითონ კარგად მყოფებსაც არ აქვთ რიგიანი ფერი, სუყველა არ-უბნელი გეგონებათ, ისე აქვთ გათხუნული სახე მღვრიე წყლითა. ამნაირ გაჭირვებაშია ს. ყელ-ქცეული. სხვა არა იყოს-რა, ცეცხლი რომ გაჩნდეს, ვერაფრით გააქრობენ. საკვირველი ის არის, რომ თუ კაცს არ შეუძლიან რაიმე საქმის გაკეთება, რად იღებს თავზე იმ საქმეს, რად იხვევს ხელზედ ამოდენა ხალხსა და ჰხოცავს უწყლობით. მერე ჩვენი ქართველი კაცის ხასიათი: თუ ერთი მიენდო ვისმეს, თითონ ხომ აღარა ჰფიქრობს ხელისა და ფეხის განძრევას, ასე ჰგონია, ეგ არის ეხლა შოშიასავე პირში ჩაგვიდებენ, რაც საჭიროაო. დაუწყებენ ცქერას, აცა ეხლა მოგვხედავს, გვიშველის რასმესაო. ამ აცა-აცაობაში მანამ საქმე არ გაუჭირდებათ ძალიან, თავს არ შეიწუხებენ. გარიგებიან ვილასაც, რომ სულზე აბაზს მოგცემთ დიდი და პატარა, ოღონდ წყალი მოგვიყვანეო, მოუკრიფეს კიდეც, მაგრამ ჯერ წყალი არსად არის. რომ ჰკითხოთ რამე აქაურს გლეხს, მაგალითად:

— ბიჭო, ცეცხლი რომ გაჩნდეს, რითი უნდა გააქროთ? ის გიპასუხებთ: — ჰო, მაშა, ეჰ, მუხა-ცხოვრება გვაქვს და ეგ არის!! აი პასუხიც ეს არის. ზედ გამოჭრილია მართლაც ამათ ცხოვრებაზედ ეს „მუხა-ცხოვრება“! ქირნახულის მოსავალი საზოგადოდ აქაურ სარწყავ მამულებში წყალზეა დამოკიდებული. — მინამ ხნულს კარგად არ მორწყვენ და მერე ისე არ დათესვენ, არა მოდის რა, თუნდა დიდმა წვიმამაც დაალბოს, მრავალჯერ სცადეს წვიმის შემდეგ დათესვა, მაგრამ ამაოდ. ეს სამი ოთხი წელიწადი უწყლოობის გამო მოსავალი აღარ მოდის, წრეულს დღიურს გამოვიდა საშუალოდ სამ კოდ ნახევარი, რამაც თესლი და ალოს ფასიც ვერ ააყენა. წყლისათვის დაყენებულო მოხელენო! გვიპატრონეთ, თქვენს იმედზე ვართ, ვიხრჩობით უწყლობით?!..

ძლევიჯვრელი

*** **სამეგრელო.** მდ. ცხენის წყალზე ხეების ზიდვა. ბევრგან ჩვენს სოფლებში, უმეცრებისა და ქონებრივი სიღატაკის გამო მცხოვრებნი სახიფათო და მავნებელ შრომას ეტანებიან. აგერ განმავლობს 6—7 წელი მას აქეთ, რაც თავ. დადიანმა თავისი ტყე იჯარით გასცა ლეჩხუმში, საიდანაც ხეები მოაქვთ მდ. ცხენის წყლით საჭილაომდე აქ გაკეთებულია სახერხი მანქანები და ხეების საწყობი, საიდანაც ისინი გააქვთ სხვადა-სხვა ქვეყნებში და ჰყიდიან. საჭილაოს მცხოვრებნი ამითი დიდად სარგებლობენ და ქონებრიათაც წინ წაიწიეს; ხოლო ლეჩხუმიდან დაწყებული საჭილომდე ცხენის წყლის მახლობლად მცხოვრებნი ამ ხეებზე მუშაობით მეტს ზარალს და უბედურებას ეწევიან, ვიდრე მოგებას ნახულობენ. ლეჩხუმში ამ ხეებს რამდენიმე ათასობით გადმოჰყრიან ხოლმე ცხენის წყალში და მოაქვთ წყლით. რასაკვირველია, ესოდენი ხეების წამოღება წყლით ამ სიშორეზე არა მცირე მუშაობას მოითხოვს. მახლობელ სოფლებიდან მოხუცებული თუ ახალგაზდა, ყაელა ამ სამუშაოზე მიეშურება. დილიდან სალამომდე წყალში დგანან ორი გროშისთვის. ამათი მუშაობა შორიდან მაყურებელს შიშის ზარს დასცემს, როცა ისინი დიდს მორევში წყლისაგან მიხუშულ ხეების გროვას არღვევენ. თითონ ამ სტრიქონების დამწერი არა ერთხელ დავსწრებივარ აქ უბედურ შემთხვევას. წარსულ ზაფხულშიაც დაიხრჩო რამოდენიმე კაცი. ამას, რომ ყველას თავი დავანებოთ, ისიც კმარა, რომ მომუშავენი სამუდამოთ სნეულდებიან და ნახევარჯერ თავის სიცოცხლეს ლოგინში წოლით ატარებენ. ძლიერ საჭიროა, რომ ვინმე მადლიანმა შუამდგომლობა აღძრას ვისთანაც ჯერ არს, რომ ხეები გამოუშვან ტივებად, რომელიც არავითარ ვნებას არ მისცემს უვიც ხალხს, და ზარალიც შეუმცირდებათ იმ მემამულეებს, რომლების მიწები მეტადრე ამ ხეების გამო ცხენის წყლისაგან აოხრებულია.

ევგენი ჩიჯავაძე

*** **ს. ენისელი** (კახეთი). უბედური შემთხვევა. 28 აგვისტოს ს. აღდგომის (თელავის მაზ.) მღვდელი, იოლ მენთეშაშვილი მივიდა სოფ. ენისელში, დაასაფლავა გარდაცვალებული გლეხის ქალი ეფემია არჯევანაშვილი და გაუდგა გზას თავის სამრევლოსაკენ. გაიარა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, ცხენი, რომელზედაც ის იჯდა, დაფრთხა და გაიქცა, სოფ. ენისელის ქუჩის მისახვევთან, ცხენმა გადმოაგდო მღვდელი, რომელმაც საფეთქელი დაჰკრა ქვას და იქვე გარდაიცვალა.

## რედაქციისაგან

—

**ტფილისში** ზაქ. ჭყუშელს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება: სოფელს ძრახავთ, ალ-ქაჯები სწამთო და თქვენმა წერილმა-კი, ვგონებთ, უფროც განუმტკიცოს ეგ არა სასურველი რწმენა.

ს. **ნიგოითში** ნიგოითელ გოგიტას. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება. რაც შეეხება ქალის ძალად დანიშვნას, ეგ, რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო მოვლენა, პირიქით მეტად საძრახისი საქმეა. ეს ყველასათვის აშკარაა, ვისაც განათლების რამ მოსცხებია მაინც.

## სასამართლოს მატიანე

—

გაძარცვის განზრახვა. 1898 წ., 21 აპრილს, შუაღამისას ავსტრიის ქვეშევრდომს ტეხნიკოს მირსკის და მისს ამხანაგს აზნაურს უვაროვს, რომლებიც ერთად მიდიოდნენ პროსპექტზე, საცხენოსნო ფოსტასთან, წინ შეეხჩათ ვიღაც ადგილობრივი მცხოვრები, რომელსაც მათ შეატყვეს გაძარცვის სურვილი. მირსკიმ დანით შეაშინა ბოროტ-გამზრახველი და გააქცია. მასთან ერთად გაიქცა ორი სხვა კაცი, რომლებიც მანამდე განზე იდგნენ. მირსკიმ და უვაროვმა განაგრძეს გზა ვერის აღმართთან, ყორღანოვის მოედანზე რომ მივიდნენ, აქ უვაროვს ორი კაცი წამოეწია და წააქცია. ამავე დროს მესამემ მას ყელში ხელი წაუჭირა. მირსკიმ, რომელსაც გაშლილი დანა ისევ ხელში ეჭირა, დასჭრა იგი დანით. მაშინ ორმა სხვა ბოროტ-გამზრახველმა უვაროვს ხელი უშვეს და ეცნენ მირსკის, მაგრამ იმან ესენიც დასჭრა. ბოროტ-გამზრახველნი დაიმალნენ, ხოლო მირსკი და უვაროვი პოლიციაში წავიდნენ საჩივლელად. ნახევარ საათის შემდეგ ვერის ხიდის მახლობლად პოლიციელმა პეროვმა აღმოაჩინა დუქანში მწოლარე კაცი, გრიგოლ საათოვი, რომელსაც ორი ჭრილობა ჰქონდა მუცელში და რომელიც აცხადებდა, თავის მოკვლას ვაპირებდი და მე თვითონ დავიჭერი ჩემი თავიო. გრიგოლ საათოვთან მოვიდნენ მისი ბიძაშვილი ვასილ საათოვი და მისი ღვიძლი ძმა ისაკი და მოინდომეს მისი შინ წაყვანა. მაგრამ პოლიციელმა არ დაანება მათ და წაიყვანა დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში. ავადმყოფის აპერაციის დროს საავადმყოფოში პოლიციიდან მივიდა პოლიციელი იურპაევი და უთხრა პეროვს, არ გაუშვა ავადმყოფი და მისი ამხანაგებიო. ამის გაგონებაზე ვასილ საათოვმა გაქცევა დააპირა. მაგრამ იგი შეიპყრეს. ამის შემდეგ გრიგ. და ვ. საათაშვილებმა განაცხადეს, ყორღანოვის მოედანზე ჩვენ თავს დაგვესხა ორი რუსი და დაგვჭრესო. სასამართლოში გრიგოლ და ვასილ საათოვებმა არა სცნეს თავი დამნაშავედ. ტფილისის საოლქო სასამართლომ, რომელმაც ეს საქმე განიხილა 4 სექტემბერს, დამნაშავედ იცნო ორივე ბრალდებული იმაში, რომ მათ განეზრახათ გაძარცვა და მიუსაჯა მათ ყოველ გვარ უფლებათა ჩამორთმევა და ზნეობის გამასწორებელი სატუსაღო განყოფილებაში დატუსაღება ორ ნახევ წლის ვადით.

## თეატრის მატიანე

—

**დ. ყვირილა.** ქართული წარმოდგენა. 30 მარიამობისთვეს იყო გამართული ჩვენს კურთხეულ დაბაში ქართული წარმოდგენა ქ-ნ ოლ. ბაქრაძის თაოსნობით, ხალხი არ ითქმის რომ ცოტა დაესწრო, თუმცა შემოსავალი შედარებით ძალიან ნაკლები იყო; ზარალი იყო 10 მან. არ ვიცი რით აიხსნება ასეთი გულ-გრილობა საზოგადოებისა, მით უმეტეს, რომ წარმოდგენა საქველ-მოქმედო მიზნით იყო გამართული. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა; ითამაშეს „სიყვარულის მსხვერპლი“ ეტიუდი ვ. ბალანჩივაძისა, „წუთით საცოლე“ ვოდ. კ. ნასიძისა და „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს“ თ. რ. ერისთავისა. ყველა პიესებმა კარგათ ჩაიარა, საზოგადოებაც ნასიამოვნები დარჩა. ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა უკანასკ-

ნელმა პიესამ, საუცხოვო იყო ელისაბედის როლში ქ-ნი ივანიძე, აგრეთვე ძალიან კარგი იყო პარუნ ოსეფას როლში ბ-ნი ვ. ბალანჩივაძე. დასასრულ ორიოდე სიტყვა: მაშიკოს როლში გამოვიდა ამ წარმოდგენაზე ქ-ნი ოლ. ბაქრაძე ეს პატივცემული ახალგაზდა ქალი მიუხედავად იმისა, რომ სულ ოთხჯერ გამოსულა სცენაზე, მაინც ძალიან კარგი იყო ნაკისარ როლში. პატივი და დიდება ქ-ნ ოლ. ბაქრაძეს რომ მან არ ათხოვა ყური აქაურ ჭორიკანა ქალბატონებს და დაუმტკიცა მათ, რომ ახალგაზდა ქალს შეუძლია გამოვიდეს სცენაზე, ხელი შეუწყოს ეროვნულ ხელოვნების და ისევ პატიოსან ახალგაზდად დარჩეს. დასასრულ წაიკითხა სცენები ებრაელთა ცხოვრებიდან ბ-ნ კ. კაცხელმა.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

მეცნიერის ხუმრობა. რამდენმამე პროფესორმა, შესანიშნავ მსწავლულ ფიზიკოსის ტომსონის მეთაურობით, მოიწვიეს თავისი მეგობრები ქ. ლაინში სადილზე ცნობილს რესტორანში. სტუმრები შემოუსხდნენ სუფრას. მალე ლაქიებმა შემოიტანეს წვენი, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ერთმა სტუმარმა შეჰყვირა: „შეხედეთ, წვენი გაიყინაო“. ის-ის იყო წარმოსთქვა მან ეს სიტყვები, წვენი მართლაც მთლად ყინულად გადაიქცა. მასპინძელი გაფითრდა. მოიტანეს მეორე თავი საჭმელი—თევზი. მაგრამ როგორც-კი ლაქიამ მიართვა იგი სტუმრებს, ვიღაც სტუმართაგანმა შესძახა: „დაგვცინიან თუ რა არის: თევზი ხისაგან მოუმზადებიათ“. ვერას გზით თევზი ვერ დასჭრეს. მასპინძელი არწმუნებდა სტუმრებს, თევზი მშვენივრად იყო შემწვარიო. არავინ არ შეეხო ამ საჭმელებს, რომელიც მაშინვე უკან წაიღეს. მაგრამ არც სხვა საჭმელებს დაეყარა ხეირი. შემწვარი ხორცი მაშინვე გაიყინა, როგორც-კი დადგეს სუფრაზე, პური გაქვავდა, ფოლადივით მაგარი შეიქნა, ღვინო ყინულის ბოთლად გადაიქცა, წყალიც გაიყინა. დადგეს სუფრაზე სხვა ბოთლები. ერთი წუთის შემდეგ გაისმა რაღაც მსუბუქი ხმაურობა. საცობები ამოვარდა ბოთლებიდან, და მთელმა სითხემ მიიღო ვარდის-ფრად გაყინულ ცილინდრის სახე. ლაქიებმა დაუძახეს რესტორანის მმართველს, ამან თავის მხრით რესტორანის პატრონს, და ყველანი არწმუნებდნენ სტუმრებს, პლიტა სამზარეულოში გახურებულიაო, უთითებდნენ ტერმომეტრზე ოთახში, რომელიც აჩვენებდა 8 გრადუსს და ამტკიცებდნენ, აქ რაღაც ზესთაბუნებრივი ამბავი არისო. სადილს თავი დაანებეს და გადადვეს შემდეგისათვის. მთელი ერთი თვე ქ. ლაინში ყველა ამ შესანიშნავ სადილზე ლაპარაკობდა. ბოლოს გამოცანა უვგე აიხსნა. აღმოჩნდა, რომ ტომსონს სადილზე თან წამოეღო შუშით თვის მიერ ახალ აღმოჩენილი ეგრედ წოდებული „თხელი ჰაერი“. ეს ჰაერი, შეკუმშული და გაზად გადაქცეული, ყინვასავით ცივია და იძლევა ორასი გრადუსის სიცივეს. როცა ყურადღებას არავინ აქცევდა, ტომსონი უშვებდა თურმე ამ შეკუმშულ ჰაერს საჭმელზე და სასმელებზე, რომლებიც ამის გამო მსწრაფლ იყინებოდნენ. მეორე სადილის დროს ბევრი იცინეს ამ ამბის გამო. რესტორანის პატრონმა-კი მოსადილეთ ორივე სადილის ანგარიში წარუდგინა.

## ყურმოკრული საუბარი

—

სასამართლოში. ბრალდებულის ვექილი თავის კლიენტს ადარებდა ცხვარს, რომელიც დასაკლავად განეწირათ, ადარებდა აგრეთვე უენო პირუტყვს და სხვას...

თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულს:

— თქვენ რაღას იტყვით?

— მე-კი, ბ. თავმჯდომარევ, იმას ვიტყვი, რომ თუ მე გამამართლეს, მაშინვე ჩემ დამცველზე შევიტან საჩივარს, სასამართლოში ჩემი შეურაცყოფის გამო, ამის მეტს-კი მე ჯერ არაფერსაც არ ვიტყვი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი

**მოსკოვი.** ყაზანის რკინის გზის ციმბირის შტოზედ 2 სექტემბერს ტვირთის მზიდველი მატარებელი დაეჯახა ხეებს, რომელიც ბოროტმომქმედთ ლიანდაგის გარდი-გარდმოეწყოთ. კონდუქტორი და ორი მუშა მოკლულია, 10 მუშა დაშავებულია.

**ქრისტიანია.** პირველი ხელშეკრულება სამედიატორო სასამართლოს შესახებ დადებულ იქმნა რომ იტალიისა და არგენტინას შორის. თითოეული მხარე არჩევს თითო მელატორს; ეს ორი მოსამართლე ირჩევენ მესამეს. თუ ამ საქმეში ვერ მორიგდნენ, მაშინ მესამე მელატორს ჰნიშნავს მეფე ოსკარი ან შვეიცარიის პრეზიდენტი.

**სოფია.** სულთანმა აღკრძალა მატარებელი ბოლგარიელ მოგზაურებისა, რომელთაც კონსტანტინეპოლში უნდოდათ მოსვლა იქ აგებულ ბოლგარელთა ეკკლესიის კურთხევაზე დასასწრებლად.

**პეკინი.** იტო გუშინ მოვიდა ტიან-ძინში და აქაც ჩქარა მოელიან. ჩინელები ამბობენ, რომ ამ იმისს მოსვლას დამოკიდებულება აქვს იმ სატევ-საგერ კავშირთან, რომელიც იაპონიასა და ჩინეთს შორის იქმნება დადებულიო.

**პარიზი.** მინისტრთა უკანასკნელ თათბირის დროს აღიარეს, რომ დრეიფუსის ვექილებს ყველა ის საბუთის ქაღალდები არა ჰქონდათ ნაჩვენებ-ნაუწყები, რომლის ძალითაც დრეიფუსი ბრალეულად იქმნა ცნობილიო.

**ლონდონი.** პარლამენტის გრაფულმა წევრმა სამადლობელი ადრესი შეადგინეს ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე სამშვიდობიანო კონფერენციის წინადადებისათვის.

**სეული.** მეფე კარგად არის. მემკვიდრე პრინცი ჯერ სრულიად არ განკურნებულა საწამლავისაგან. აქ ამ აზრისანი არიან, რომ საწამლავი მიუწოდებია ერთ სეფექალთაგანს ეჭვიანობისა, ან პოლიტიკურის მიზეზის გამოო.

**ლოაზანა.** აქ დაპატიმრებულ ანარქისტებ გვალდუჩჩისა და ბარბეტტიზედ გუმანია მიტანილი, რომ ლუკკენის თანამოზიარე ამხანაგნი უნდა იყვნენ.

**რომი.** რუსეთის საელჩომ ოფიციალური პასუხი მიიღო წმ. ტრაპეზისაგან რუსეთის სამშვიდობო საყოველთაო მიწერილობის შესახებ, რომელიც ვატიკანში მყოფმა რუსეთის ელჩმა აცნობა კარდინალს რამ პოლლას. პასუხში დიდად მოწონებულია რუსეთის წინადადება და ნასურვია რომ იგი ბედნიერად განხორციელდეს.


## განცხადებანი

### ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., 1/2 გირვანქა 2 მან. 50 კაპ. ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., 1/2 გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—21)

იბეჭდება და მალე გამოვა

**გასაყიდად**

იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მოგზაური სვანეთისა ახუნდოვი, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30—6)




ღვინის სარდაფი

### „იყალთო“

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

### იყალთო

ბოთლი **20** კაპ. ვიდრე **1** მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**

Князя Г. и Л. Макаевыхъ

**подъ фирмой**

**„ИКАЛТО“**

Тифлисъ, Головинскій проспектъ, д.К. Орбеліяни, № 15. (75—17)